6.06.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მეექვსე გაფართოებული შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრის დღის წესრიგი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

მრგვალი მაგიდა

ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების წარდგენა

სასტუმრო „ვერე პალასი“

6 ივნისი, 2014

დღის წესრიგი

10:00-10:30	**მონაწილეთა რეგისტრაცია, ჩაი/ყავა**
10:30-11:00	**მისასალმებელი სიტყვა**
	ალექსანდრე ბარამიძე, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე
	თინათინ ხიდაშელი, საქართველოს პარლამენტის წევრი
	დევიდ სტოუნჰილ, USAID დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილე

პირველი სესია

ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტი, პარტნიორობის სამდივნოს კომენტარები

და

არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციები

მოდერატორი: *რუსუდან მიხელიძე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელი*

11:00-11:20	ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტი და მასთან დაკავშირებით პარტნიორობის სამდივნოს კომენტარები ინფორმაცია დუბლინის რეგიონული შეხვედრის შესახებ **რუსუდან მიხელიძე,** კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელი
11:20-11:40	დისკუსია
11:40-12:20	ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით გიორგი კლდიაშვილი, ინფორმაციის თავისულების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელი ლაშა გოგიძე, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო ქეთი მურუსიძე, ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“
12:20–13:00	დისკუსია – რეკომენდაციების შესაბამის პასუხისმგებელ უწყებათა კომენტარები
13:00-13:30	არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება ფორუმის ფარგლებში
13:30-14:30	სადილი

მეორე სესია

ღია მმართველობა საქართველოს მიმდინარე პროექტები

14:30-14:45	რეკომენდაციები ღია მონაცემთა პორტალთან დაკავშირებით **ეტიენ ბაკე,** საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო

14:45–15:00	**ელ–პეტიციების პორტალი (ichange.ge)**
	თამარ რაზმაძე, საქართველოს მთავრობის კანცელარია
15:00:15:30	**დისკუსია**
15:30-16:00	**ყავის შესვენება**

მესამე სესია

ღია მმართველობის პარტნიორობის საერთაშორისო ღონისძიებები

16:00-16:20	**ღია მმართველობის ჯილდო 2014**
	ქეთი ცანავა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი
16:20-16:40	**დისკუსია**
16:40-17:00	**ღია მმართველობის პარტნიორობის სამეთვალყურეო კომიტეტის არჩევნები**
	რუსუდან მიხელიძე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელი
17:00–17:15	**დისკუსია**
17:15-17:45	**ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ფორუმის წევრთა მოსაზრებები და სამომავლო აქტივობები**
17:45-18:00	**სამომავლო გეგმებზე შეთანხმება, შეხვედრის დახურვა**

2. შეხვედრის გახსნა

ფორუმის გაფართოებულ შეხვედრას გახსნითი სიტყვით მიმართა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ-ნ ალექსანდრე ბარამიძემ, რომელმაც საქართველოს მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი შეაჯამა და შეხვედრის დამსწრეებს პარტნიორობის რეგიონულ სამიტზე საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შესახებ ესაუბრა. საქართველოს პარლამენტის წევრმა თინათინ ხიდაშელმა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საპარლამენტო ღიაობის სამუშაო ჯგუფში საქართველოს მონაწილეობა და პარტნიორობის მიზნების შესაბამისი სამომავლო გეგმები მიმოიხილა.

ფორუმს მიმართა დევიდ სტოუნჰილმა, USAID–ის დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილემ, რომელმაც ასევე შეაჯამა ფორუმის ფარგლებში ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის საჯარო კონსულტაციები, რომელთა ნაწილი USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში გაიმართა. ბ–ნ სტოუნჰილმა ხაზი გაუსვა ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მნიშვნელოვან ძალისხმევას და მომავალი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოხატა.

3. პირველი სესია

ღია მმართველობის პარტნიორობის რეგულაციების შესაბამისად, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ ფორუმის მიერ შემუშავებული 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსია კომენტარებისთვის OGP–ის სამდივნოს წარუდგინა. შეხვედრის პირველი სესია სწორედ წარდგენილი სამოქმედო გეგმის პროექტის პრეზენტაციას, მასზე პარტნიორობის სამდივნოსგან მიღებული კომენტარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების განხილვას დაეთმო.

სამოქმედო გეგმის პროექტის სრული ვერსია და OGP–ის სამდივნოსგან მიღებული კომენტარები ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელმა ქ–ნ რუსუდან მიხელიძემ წარადგინა. პრეზენტაციის შემდგომ გაიმართა დისკუსია გეგმის პროექტსა და სამდივნოს კომენტარებზე. პარტნიორობის სამდივნოს კომენტარების ნაწილი ფორუმმა რელევანტურად მიიჩნია, რაც ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიერ გეგმის საბოლოო ვერსიაში აისახება. განხილვის დასასრულს, ფორუმი შეთანხმდა გეგმის არსებულ ვერსიაზე.

შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების წარდგენით გაგრძელდა. ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთობლივად შემუშავებული რეკომენდაციები ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორმა, ფორუმის მომხსენებელმა გიორგი კლდიაშვილმა წარადგინა. დამოუკიდებელი 2 რეკომენდაცია წარადგინა საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს წარმომადგენელმა ლაშა გოგიძემ. ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა ფონდის წარომადგენელმა ქეთი მურუსიძემ.

შეხვედრაზე შეთანხმდა რეკომენდაციის ავტორ არასამთავრობოთა და შესაბამის პასუხისმგებელ უწყებათა ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრები, რათა გეგმის საბოლოო ვერსიის წარდგენამდე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება თუ რა სახით შეიძლება ჩაიდოს ესა თუ ის რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში ვალდებულების სახით.

4. მეორე სესია

მეორე სესიაზე ღია მონაცემთა პორტალთან დაკავშირებული რეკომენდაციები წარადგინა საერთაშორისო გამჭვირვალობის ექსპერტმა ეტიენ ბაკემ. წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე გამოვიდა ინიციატივით დაიგეგმოს საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსა და სააგენტოს წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა.

მთავრობის ადმინისტრაციის გეგმების შესახებ ისაუბრა დონორთა კოორდინაციის სამსახურის უფროსმა თამარ რაზმაძემ. ქ–ნ თამარის განცხადებით მთავრობის ადმინისტრაცია ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში იღებს ვალდებულებას შექმნას ელექტრონული პეტიციების პორტალი, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდას. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, პორტალის კონცეფციის შექმნაზე და სხვა ძირეულ საკითხებზე იმუშავებს სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევა: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და USAID/ კარგი მმართველობა საქართველოში (G3) პროგრამა.

5. მესამე სესია

მესამე სესიის დასაწყისს ღია მმართველობის ჯილდოს შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორიცაა, მონაწილეობის კრიტერიუმები, ეტაპები და სხვა გაიდლაინები წარადგინა ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ქეთი ცანავამ. კონკურსის 2014 წლის თემაა მოქალაქეთა ჩართულობა. გაიმართა დისკუსია, თუ რა პროექტი შეიძლება წარადგინოს საქართველომ აღნიშნულ კონკურსზე. დასახელდა სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრები და მოქალაქის პორტალი. ფორუმის წევრების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონკურსის მოთხოვნებს სრულად პასუხობს საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია, ვინაიდან იგი სწორედ მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას ემსახურება.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მომხსენებელმა რუსუდან მიხელიძემ ისაუბრა ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველი კომიტეტის არჩევნებში საქართველოს დაგეგმილი მონაწილეობის შესახებ. ფორუმი მიიჩნევს, რომ განხორციელებული ცვლილებები ღია მმართველობის სფეროში, ისევე როგორც საქართველოს აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო დონეზე, არჩევნებში წარმატებული შედეგის მიღწევის

საფუძველს იძლევა. საქართველომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტნიორობას შესაბამისი აპლიკაცია 2014 წლის 15 ივნისამდე უნდა წარუდგინოს.

შეხვედრის დასასრულს ფორუმის მონაწილეებმა ისაუბრეს ღია მმართველობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროების შესახებ. ფორუმის წევრების მოსაზრებით, საჭიროა საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიტყოს პარტნიორობის, მისი მიზნების და საქართველოს, როგორც პარტნიორობის წევრი ქვეყნის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

6. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ

იუსტიციის სამინისტრო	ალექსანდრე ბარამიძე, რუსუდან მიხელიძე, ქეთი ცანავა
საქართველოს პარლამენტი	თინათინ ხიდაშელი
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	თამარ რაზმაძე, თათია როგავა, ქეთევან კრაწაშვილი
სსიპ იუსტიციის სახლი	ნინო მურველაშვილი
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ირაკლი გვენეტაძე, ნატა გოდერძიშვილი
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	მარიამ ძაგნიძე
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო	მაია დვალიშვილი, თამთა ცოცხალაშვილი
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ნოდარ ხერხეულიძე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	პავლე ოკუჯავა
ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	კახა დემეტრაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლო	თორნიკე გეწაძე, მარიამ ხოფერია
შინაგან საქმეთა სამინისტრო	კონსტანტინე ელიზბარაშვილი, შალვა ხაბულიანი, დავით ალავერდაშვილი
USAID საქართველო	დეივიდ სთოუნჰილ, მარის მიკელსონს, ლინა პანტელეევა, ლუიზა მაკაროვა, სოფიო გურგენიძე
გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia)	სოფო გურული
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ლაშა გოგიძე, ეტიენ ბაკე
ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	თამარა სართანია
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)	ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი
ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“	ქეთი მურუსიძე